სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080111959285622

№ 1263 12 / აპრილი / 2022 წ.

შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT220000279;

შესყიდვის ობიექტი: 71500000 – მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები;

პრეტენდენტი: შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ (ს/ნ: 431432309);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 23 თებერვალს წარმოდგენილ იქნა ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 21 თებერვლის № 16-1622052113 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 1613), რომლითაც სააგენტოს ეცნობა NAT220000279 ელექტრონული ტენდერიდან პრეტენდენტის - შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“ (ს/ნ: 431432309) დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

1.2. სააგენტომ შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის c.e.b.16@mail.ru მეშვეობით, 2022 წლის 4 მარტის № 746 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, პრეტენდენტმა 2022 წლის 21 იანვარს ელექტრონულ ტენდერში ტექნიკური დოკუმენტაციის სახით, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ატვირთა გეოლოგ გ.წ.-ს საინფორმაციო ანკეტა და გ.წ.-სთან გაფორმებული წინარე შეთანხმება, რომლითაც იგი თანხმობას აცხადებდა NAT220000279 ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე. სატენდერო კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ გ.წ. გარდაიცვალა 2021 წლის 21 ოქტომბერს, შესაბამისად, იგი ხელს ვერ მოაწერდა წინარე შეთანხმებაზე. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2022 წლის 16 თებერვლის № 3 სხდომის ოქმით, პრეტენდენტს მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

3. პრეტენდენტის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში პრეტენდენტს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2022 წლის 10 იანვარს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ გამოაცხადა NAT220000279 ელექტრონული ტენდერი მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებების (CPV71500000) შესყიდვის მიზნით.

4.2. NAT220000279 ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურომ“ (ს/ნ: 431432309).

4.3. პრეტენდენტმა ელექტრონულ ტენდერში 2022 წლის 21 იანვარს, სხვა დოკუმენტებთან ერთად, ატვირთა გ.წ.-ს საინფორმაციო ანკეტა და გ.წ.-თან გაფორმებული წინარე შეთანხმება, რომლითაც გ.წ. თანხმობას გამოხატავდა NAT220000279 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევაზე.

4.4. სატენდერო კომისიის 2022 წლის 27 იანვრის №2 სხდომის ოქმით პრეტენდენტს განუსაზღვრა 3 სამუშაო დღის ვადა დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციის წარსადგენად.

4.5. სატენდერო კომისიის 2022 წლის 27 იანვრის № 2 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილება იმავე ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა – შპს „ოპტიმალ გრუპ +“-მა 2022 წლის 28 იანვარს გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში (საჩივრის №DIS220000279_01(NAT)).

4.6. №DIS220000279_01(NAT) საჩივარზე დართული იყო №01227003992 გარდაცვალების მოწმობა, რომლითაც დგინდება, რომ გ.წ. გარდაიცვალა 2021 წლის 21 ოქტომბერს.

4.7. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს 2022 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიას დაევალა 2022 წლის 27 იანვრის სხდომის № 2 ოქმით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება და შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ სატენდერო წინადადების წარდგენის ეტაპზე ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება.

4.8. დავების განხილვის საბჭომ გადაწყვეტილებაში ყურადღება გაამახვილა შპს „ოპტიმალ გრუპ +“-ის მიერ DIS220000279_01(NAT) საჩივარზე თანდართულ 2022 წლის 25 იანვრის №01227003992 გარდაცვალების მოწმობაზე, რომლის თანახმად, პრეტენდენტის მიერ გეოლოგის პოზიციაზე მითითებული პირი - გ.წ. 2021 წლის 21 ოქტომბერს გარდაიცვალა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ NAT220000279 ელექტრონული ტენდერის გამოცხადების თარიღია 2022 წლის 10 იანვარი, საბჭომ მიიჩნია, რომ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული წინარე შეთანხმება, რომლის თანახმად, გ.წ. თანხმობას აცხადებდა NAT220000279 ელექტრონული ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, ავთენტურ დოკუმენტს არ წარმოადგენს.

4.9. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიამ 2022 წლის 16 თებერვლის № 3 სხდომის ოქმით განახორციელა შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“ მიერ წარდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასება და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, პრეტენდენტს მისცა დისკვალიფიკაცია ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ იგი დისკვალიფიცირებულია ტენდერიდან ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის № 12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, თუ იგი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

7.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობისთვის. ამასთან, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების დანართის №1-ით დამტკიცებული აფიდავიტის ფორმისა და პირობების მიხედვით, გამოცხადებულ ტენდერში/კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით პრეტენდენტი ადასტურებს, რომ მას არ წარუდგენია მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს, ხოლო აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, იგი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.5. განსახილველ შემთხვევაში სააგენტო ყურადღებას ამახვილებს საქმის მასალებში წარმოდგენილ №01227003992 გარდაცვალების მოწმობაზე, რომლითაც დასტურდება, რომ გ.წ. გარდაიცვალა 2021 წლის 21 ოქტომბერს, შესაბამისად, იგი ხელს ვერ მოაწერდა პრეტენდენტის მიერ 2022 წლის 21 იანვარს ელექტრონულ ტენდერში ატვირთულ წინარე შეთანხმებაზე, რომლითაც გ.წ. თანხმობას გამოხატავდა NAT220000279 ელექტრონული ტენდერის ფარგლებში ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე ზედამხედველობის გაწევაზე. ამდენად, პრეტენდენტის მიერ წარდგენილია მცდარი ინფორმაცია და სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა აფიდავიტის პირობების დარღვევა და NAT220000279 ელექტრონულ ტენდერში პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩადენილ იქნა არაკეთილსინდისიერი ქმედება, რის გამოც არსებობს შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიუროს“ შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.6. აღსანიშნავია, რომ შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ (ს/ნ: 431432309) 2022 წლის 1 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT210026180 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო. შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ (ს/ნ: 431432309) 2022 წლის 8 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT220000719 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო. ასევე, შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ (ს/ნ: 431432309) 2022 წლის 11 აპრილს დარეგისტრირდა შავ სიაში NAT210024541 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

7.7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დადგინდა, რომ პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება, იგი ექვემდებარება შავ სიაში რეგისტრაციას და მის მიმართ გაფრთხილება არ გამოიყენება.

7.8. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა პრეტენდენტის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან დგინდება, რომ შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურომ“ (ს/ნ: 431432309) NAT220000279 ელექტრონულ ტენდერში ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება. შესაბამისად, შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით და დაადგინა:

1. შპს „სამშენებლო ექსპერტიზის ბიურო“ (ს/ნ: 431432309) 2022 წლის 13 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი